პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი 23 დეკემბერი 1978 წ. № 296 (17340) ფასი 2 კაპ.

ცხოვრების, ბრძოლისა და გამარჯვებების სახელმძღვანელო

ლ. ი. ბრეჟნევის წიგნის „ყამირისადმი“ მიძღვნილი საქართველოს პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის კრება

22 დეკემბერს თბილისში გაიმართა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის რესპუბლიკური კრება.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების წევრები, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნები, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების თავმჯდომარეები და მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეები, რესპუბლიკური სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელები, იდეოლოგიური დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების მუშაკები, მეცნიერული და შემოქმედებითი ინტელიგენციის, საბჭოთა არმიისა და სასაზღვრო ჯარების წარმომადგენლები, ყამირი მიწების ათვისების მონაწილენი, რესპუბლიკური პრესის, ტელევიზიისა და რადიოს მუშაკები.

პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ნ. ენუქიძე, შ. დ. კიკნაძე, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ზ. ა. ჩხეიძე, შ. კ. შარტავა, ნ. ა. ჯითანავა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ა. ბ. კოლმაკოვი.

კრებამ განიხილა საკითხი: „ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოების „ყამირის“ მნიშვნელობა იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის სრულყოფისათვის და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“.

აქტივის კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა გ. ნ. ენუქიძემ.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად, დიდი აღმავლობით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

კრებაზე გამოვიდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, საბჭოთა კავშირის გმირი, ყამირის ათვისების მონაწილე დ. ვ. ჯაბიძე, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ლ. ბ. მარშანია, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქარხნო რაიკომის პირველი მდივანი რ. ა. გოგლიძე, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი შ. კ. შარტავა, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი — პოლიტსამმართველოს უფროსი ა. მ. ოვერჩუკი, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის მოადგილე ვ. ი. ძარშიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი, მწერალი ნ. ვ. დუმბაძე.

კრების მონაწილეებმა მიიღეს რეკომენდაციები ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ნაწარმოების „ყამირის“ დებულებათა შესაბამისად იდეურ-აღმზრდელობითი და ორგანიზატორული მუშაობის სრულყოფისათვის.

კრების მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი. საქართველოს კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით მათ აღუთქვეს პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს, რომ უფრო მეტი ენერგიითა და გულმოდგინეებით იბრძოლებენ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, მეათე ხუთწლედის ამოცანების, იმ დებულებებისა და დასკვნების განხორციელებისათვის, რომლებიც ჩამოყალიბებულია „ყამირში“ — ცხოვრების, ბრძოლისა და გამარჯვებების ნამდვილ სახელმძღვანელოში. (საქინფორმი).



საბჭოთა კოსმონავტიკის ახალი მიღწევა

საკდმესის ცნობა

„ვენერა-12“ ავტომატური სადგურის დასაშვები აპარატი პლანეტის ზედაპირზეა

საბჭოთა კოსმოსურმა მეცნიერებამ და ტექნიკამ ახალი ნაბიჯი გადადგა პლანეტა ვენერას კვლევის გზაზე.

1978 წლის 21 დეკემბერს „ვენერა-12“ საპლანეტათშორისო სადგურმა 98 დღე-ღამეში გაიარა 240 მილიონ კილომეტრზე მეტი მანძილი და პლანეტის მიდამოებს მიაღწია. სადგურის დასაშვები აპარატი 6 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით რბილად დაჯდა და110 წუთის განმავლობაში პლანეტის ზედაპირიდან გადმოსცემდა სამეცნიერო ინფორმაციას. „ვენერა-12“ ავტომატურმა სადგურმა ჩაუარა პლანეტა ვენერას 35 ათას კილომეტრზე და განაგრძობს ფრენას კოსმოსურ სივრცეში.

როგორც ვიუწყებოდით, ავტომატური სადგური „ვენერა-12“ გაუშვეს 1978 წლის 14 სექტემბერს. ავტომატურ სადგურში დადგმული ხელსაწყოების საშუალებით საპლანეტათშორისო ტრაექტორიით ფრენის დროს მოეწყო კოსმოსურ სივრცეში მიმდინარე ფიზიკური პროცესების მეცნიერული კვლევა. კერძოდ, გრძელდებოდა მზიური და გალაქტიკური წარმოშობის გამოსქეფვის შესწავლის საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის პროგრამის შესრულება. მეცნიერული ინფორმაცია და მონაცემები სადგურის სისტემებისა და აპარატურის მუშაობის შესახებ რეგულარულად გადმოიცემოდა დედამიწაზე. ფრენის პროგრამის შესაბამისად, 21 სექტემბერსა და 14 დეკემბერს განხორციელდა სადგურის მოძრაობის ტრაექტორიის კორექცია.

19 დეკემბერს, ვენერას ატმოსფეროში შესვლამდე ორი დღე-ღამით ადრე, სადგურს გამოეყო დასაშვები აპარატი, ხოლო სადგური ჯადაიყვანეს ჩასავლელ ტრაექტორიაზე, რომელიც პლანეტის მახლობლად გაფრ.

დასაშვები აპარატი ვენერას ატმოსფეროში შევიდა წამში 11.2 კილომეტრი სიჩქარით. ატმოსფეროში აეროდინამიკური დამუხრუჭებისა. და 40 კილომეტრ სიმაღლემდე პარაშუტით დაშვების შემდეგ აპარატი განაგრძობდა დაშვებას სამუხრუჭე მოწყობილობის გამოყენებით.

აპარატის დაშვების დროს, პლანეტის ზედაპირამდე 62 კილომეტრი სიმაღლიდან, სადგურში დადგმული სამეცნიერო ხელსაწყოების საშუალებით მოეწყო ექსპერიმენტები ატმოსფეროს და ღრუბლების შედგენილობის ქიმიური ანალიზისათვის, ატმოსფეროში გაფანტული მზის გამოსახვების სპექტრული ანალიზისათვის, პლანეტის ატმოსფეროში ელექტრომუხტების შესწავლისათვის.

ვენერას ზედაპირზე დასაშვები აპარატის დაჯდომის შემდეგ მეცნიერული გაზომვები გრძელდებოდა.

„ვენერა-12“ სადგურში არის ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ბარელიეფიანი ვიმპელი, ხოლო დასაშვებ აპარატში—საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის გერბიანი სახელმწიფო ნიშანი.

„ვენერა-12“ სადგურზე ხუთი დღით ადრე გაშვებული „ვენერა-11“ ავტომატური სადგური ფრენას განაგრძობს და პლანეტის მიდამოებს 25 დეკემბერს მიაღწევს.

შორი კოსმოსური კავშირის ცენტრი განაგრძობს „ვენერა-11“ და „ვენერა-12“ საპლანეტათშორისო სადგურების მართვას.

ახალი კოსმოსური ექსპერიმენტის შედეგებს ამუშავებენ და აანალიზებენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

ამხ. ი. ბ. გვერდწითელის ხალხთა მეგობრობის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მრავალი წლის ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური, ორგანიზაციული და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დამსახურების შესაბამისად წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ირაკლი გრიგოლის ძე გვერდწითელი დაჯილდოვდეს ხალხთა მეგობრობის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი, 1978 წლის 22 დეკემბერი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის საგოლოო სიტყვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV კლენუმზე 1978 წლის 19 დეკემბერს

ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობა მთავრდება. ეფიქრობ, საერთო აზრს გამოვთქვამ, თუ ვიტყვი, რომ ჩვენ ნაყოფიერად, კარგად ვიმუშაეთ. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგებისადმი მიძღვნილი ჩვენი პლენუმი მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე მიმდინარეობს. იგი მოწმობს ჩვენი კადრების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ზრდას. ასე რომ, პოლიტიკა აქაც მჭიდროდ უკავშირდება ეკონომიკას.

კამათის მონაწილე ამხანაგების გამოსვლებმა ცხადყო მათი პოლიტიკური სიმწიფე. ამასთანავე, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები, სხვა ამხანაგები ღრმად, საქმის ცოდნით ერკვევიან რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრების რთულ პრობლემებში, ისინი ნათლად ხედავენ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტივას.

ეს ბევრ რამეს მოწმობს. უწინარეს ყოვლისა, ეს მოწმობს, რომ ჩვენი ადამიანები, ჩვენი კადრები მაღალი პარტიული, სახელმწიფო პოზიციებიდან უდგებიან ეკონომიკური განვითარების საკითხებს. შემდეგ, ეს მოწმობს, რომ ჩვენი კადრები უკანასკნელ ხანს გაიზარდნენ როგორც პოლიტიკური, ისე ორგანიზაციული თვალსაზრისით. დაბოლოს, ეს გვინერგავს რწმენას, რომ ახალი, უფრო რთული ამოცანები, რომლებიც ჩვენს წინაშე დადგება ახალ წელს, ასევე წარმატებით შესრულდება, რომ საქართველოს კომუნისტები მთლიანად განაორციელებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებს.

აქ გამოითქვა ბევრი საგულისხმო წინადადება, რეკომენდაცია, რჩევა, და ყოველ მათგანში უადრესად ყურადღებით უნდა გავიკვეთო, გამოვარჩიოთ უმნიშვნელოვანესი, უმთავრესი, და პრაქტიკულად გამოვიყენოთ ყოველივე ის, რაც შესაძლებლობას მოგვცემს ავიყვანოთ რესპუბლიკის ეკონომიკა, ჩვენი ორგანიზატორული, პოლიტიკური მუშაობა უფრო მაღალ საფეხურზე, უფრო მაღალ დონეზე.

ამრიგად, დღეს ჩვენ კარგი სჯა-ბაასი გვქონდა. ამ პლენუმის მუშაობა შეესაბამება დონეს, რომელზეც უკანასკნელ ხანს მიმდინარეობს ყველა უმნიშვნელოვანესი მოვლენა რესპუბლიკური პარტორგანიზაციის ცხოვრებაში: ყველა ჩვენი პლენუმი, პარტიული აქტივის ყველა კრება, დონეს, რომელზეც საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ ჩაიარა.

კამათი შედგა. ახლა ჩვენ გადაწყვეტილებას მივიღებთ. მივიღებთ, მაგრამ როგორ შესრულდება იგი? გულახდილად მოვახსენებთ, რომ მე და ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხვა წევრებს ეს კითხვა ყოველთვის გვებადებოდა, როცა ამხანაგების გამოსვლებს ვისმენდით. და შემთხვევით კი არ გვებადებოდა, იმიტომ, რომ ბევრი იმ პრობლემათაგანი, რომლებზეც ღღეს ვბჭობდით, ჩვენ არაერთგზის განგვიხილავს, და თუ კვლავ გვიხდება მათ შესახებ მსჯელობა, ეს მხოლოდ იმის ბრალია, რომ წინათ მიღებული გადაწყვეტილებანი თავის დროზე არ შესრულებულა.

სწორედ ამაზე, საშემსრულებლო დისციპლინაზე, საშემსრულებლო კულტურაზე მინდა მოგახსენოთ ჩვენი პლენუმის დასასრულს.

ამხანაგებო! თქვენ ყველამ მიაქციეთ ყურადღება იმას, რომ **ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე მაღალი მომთხოვნელობისა და მომკითხველობის სულისკვეთებით არის გამსჭვალული.** ახალ, უფრო მაღალ საფეხურზეა აყვანილი პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლისა და შემოწმების პრობლემა, რაც კომუნისტური პარტიისა და მისი ორგანიზაციების მთელი ხელმძღვანელი საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მხარეა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ აუცილებლად უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, როცა მმართველობითი აპარატის თითოეული რგოლი ნათლად დაინახავს, თუ რა როლი აკისრია და რა ადგილი უჭირავს უმნიშვნელოვანესი სამეურნეო პრობლემების გადაჭრაში.

თამამად შეიძლება ვთქვა, რომ შესრულების შემოწმების უკანასკნელ ხანს ცენტრალური ადგილი უკავია რესპუბლიკური პარტორგანიზაციის მთელ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობაში. **იმის საუკეთესო დადასტურება, რომ ყველა ჩვენი პარტიული და სახელმწიფო ორგანიზაცია პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა, მათ შორის, საკუთარ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით არის გამსჭვალული, ჯახლავთ საქართველოს ეკონომიკური და სოციალური ზრდის ამოცანები.** ამის შესახებაც ვილაპარაკეთ მოხსენებაში. ეფიქრობ, ეს საკმაოდ დამაჯერებელი არგუმენტები ყველაზე უკეთ მოწმობს შესრულების კონტროლის სრულყოფისათვის გაწეული მუშაობის აუცილებლობას.

თავს ნებას მივცემ მცირეოდენი ექსკურსით მიმოვიხილო ახლო წარსული, რათა ცხადყოს, თუ რა დიდ ყურადღებას ვუთმობდით ჩვენ შესრულების შემოწმებას მთელი ამ წლების მანძილზე.

როცა კონკრეტულ გეგმებს ვადგენდით, პრაქტიკულ ღონისძიებებს ვპარიკიელებდით ეკონომიკის, პოლიტიკის, იდეოლოგიის სფეროში, ჩვენ სისტემატურად ვამოწმებდით მათი ფაქტიური შესრულების მიმდინარეობასაც.

მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

ვთქვათ, 1973 წელს გამართულ პარტიულ კონფერენციებზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ანგარიში ჩაბარა პარტიის XXIV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებების, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

1974 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა საგანგებოდ განიხილა შესრულების კონტროლისა და შემოწმების მეცნიერულად დასაბუთების სისტემის შემდგომი სრულყოფის საკითხები.

1977 წელს პირველადი პარტიული ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე მოვისმინეთ და განვიხილეთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილების შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის V პლენუმზე ვაჯრობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხის გარდა განვიხილეთ აგრეთვე ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ სრულდებოდა ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის დადგენილება, რომელმაც საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ფართო პროგრამა დასახა.

ამავე პლენუმზე გაკეთდა ინფორმაცია საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ გაწეული საქმიანობისა და დისციპლინის განსამტკიცებლად განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ. დაბოლოს, როგორც იცით, ცენტრალური კომიტეტის თითქმის ყოველ პლენუმზე ვისმენთ ხოლმე ინფორმაციას ბიუროს მიერ პლენუმებს შორის გაწეული მუშაობის შესახებ.

ამრიგად, შესრულების კონტროლი მტკიცედ მკვიდრდება ჩვენს პრაქტიკაში და თანდათან ხდება საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის სტილსა და მეთოდების დიდმნიშვნელოვანი ნიშან-თვისება.

ეს გამომდინარეობს ჩვენი პარტიის მოთხოვნებიდან, თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან, სადაც ნათქვამია, რომ უნდა ვიბრძოლოთ, რათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები სწორად და ყველაზე ეფექტიანად ახორციელებდნენ მათთვის სკკპ წესდებით მინიჭებულ უფლებას — ადმინისტრაციის საქმიანობის კონტროლის, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესასრულებლად უწყება-დაწესებულებათა აპარატის მუშაობის კონტროლის უფლებას. ამავე დადგენილებით ჩვენ წინადადება მოგვეცა გაგვეძლიერებინა პარტიული კონტროლი ეკონომიკის დარგში.

კონტროლის საქმის უკეთ დაყენების აუცილებლობაზე იყო ლაპარაკი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის ივნისის დადგენილებაში საქართველოს პარტიული ორგანიზაციის შესახებ.

გავიხსენოთ კაპიტალური მშენებლობის ხელმძღვანელობის დონის შემდგომი ამაღლების საკითხებისადმი მიძღვნილი ჩვენი წინა პლენუმიც, რომელმაც ასევე ჩაიარა შესრულების კონტროლის გაძლიერების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის XIII პლენუმის, იმ პლენუმის დადგენილებათა შესრულების ნიშნით, რომელზეც შევიმუშავეთ დეტალური სამშენებლო პროგრამა საქართველოს სსრ სასაღლო მეურნეობის შემდგომი განვითარების თაობაზე პარტიისა და მთავრობის ცნობილი დადგენილების შესასრულებლად.

და ახლა, როცა კონტროლის ქმედითობის ყოველმხრივი ამაღლების საკითხები ასე მწვავედ და ასე პრინციპულად დაისვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე, **ამ საკითხებს ჩვენ უნდა ვუდგებოდეთ როგორც საერთო-პარტიულ პრობლემას, საერთო-პარტიულ ამოცანას, ყოველნაირად სრულყოფდეთ შესრულების კონტროლსა და შემოწმებას, ამასთან იმით უნდა ვხელმძღვანელობდეთ, რომ თუ კარგად არა გვაქვს დაყენებული შესრულების შემოწმების საქმე, წარმოუდგენელია კადრებთან მუშაობის, მთელი ჩვენი ორგანიზაციულ-პარტიული, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის სწორი ორგანიზაცია.**

შესრულების კარგად დაყენებული კონტროლის ეფექტიანობის, ქმედითობის, მაღალი უკეთგების შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, ჩვენი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ბევრი პრაქტიკულად გადაწყვეტილი საკითხის მიხედვით. საკმარისია ითქვას, რომ სწორედ შესრულების შემოწმების შედეგად დაინერგა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი სისტემა, გაუმჯობესდა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობა, მოლიანად წარმატებით წყდება საგეგმო, სახელმწიფო, საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, ნავთრწვადასამუშავებელი მრეწველობის შემდგომი განვითარების საკითხები, რაც არაერთგზის თქმულა ცენტრალური კომიტეტის პლენუმებსა და პარტაქტივის კრებებზე.

ამას შეგვიძლია დავუმატოთ დიმიტროვის სახელობის ქარხნის კოლექტივის დამრგვალებლის გამოცდილების გავრცელება, ხელის ჩაის საკრეფი მანქანების წარმოებისა და შეძენის, ვაჭრობის ობიექტებზე ხელორმატიული ნაშთების მნიშვნელოვანი შემცირების საკითხები და კიდევ ბევრი, ბევრი სხვა რამ.

მაგრამ ჩვენ არ უნდა დავჯერდეთ ამას იმიტომ, რომ ბევრი ჩვენი გადაწყვეტილება, რომლებიც, როგორც წესი, ძალზე კარგია, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ სრულდება სათანადოდ, ანდა საერთოდაც არ სრულდება. მეტად დიდ შეშფოთებას იწვევს ფაქტები, რომლებიც მოწმობს, რომ ზოგჯერ შეუსრულებელი გვრჩება გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულია ყველაზე მაღალ დონეზე — ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, ბიუროს სხდომის დონეზე.

აქაც მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

ცენტრალური კომიტეტის მოხსენება საქართველოს კომპარტიის „ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის II პლენუმზე შეიცავდა დავალებას სერიოზულად გავრკვეულიყავით ჩვენს რესპუბლიკაში ქვანახშირის მოპოვების შემცირების მიზეზებში. ეს უკვე ორი წელი გავიდა, მაგრამ ამხანაგები ამ საკითხში ბოლომდე დღესაც არ გარკვეულან, ბოლომდე არ მიუყვანიათ საქმე. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ მომდევნო, 1977 წელს, ქვანახშირის მოპოვება 8,1 პროცენტით შემცირდა და 1970 წლის დონის სულ 75 პროცენტი შეადგინა. ასეთივე მდგომარეობაა მიმდინარე წელსაც. დღემდე არ აღმოფხვრილა ქვანახშირის მრეწველობის ჩამორჩენის ძირითადი მიზეზები. კვლავ იორვეცა ახალი სამთო გვრიალების სიცენტრალიზაციიდ დადაცემის დადგენილი ვადები, კვლავ ნელია გვრიალგაყვანის ტემპი მოკმეულ შახტებში.

ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის III პლენუმზე ამოცანად დავისახეთ, რომ უფრო ეფექტურად ეფექტიანობით, მაღალი უკეთგების შესახებ შეგვეძლია ვიმსჯელოთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის, ჩვენი ორგანიზატორული და ეკონომიკური მუშაობის ბევრი პრაქტიკულად გადაწყვეტილი საკითხის მიხედვით. საკმარისია ითქვას, რომ სწორედ შესრულების შემოწმების შედეგად დაინერგა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ახალი სისტემა, გაუმჯობესდა სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობა, მოლიანად წარმატებით წყდება საგეგმო, სახელმწიფო, საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, ნავთრწვადასამუშავებელი მრეწველობის შემდგომი განვითარების საკითხები, რაც არაერთგზის თქმულა ცენტრალური კომიტეტის პლენუმებსა და პარტაქტივის კრებებზე.

ამას შეგვიძლია დავუმატოთ დიმიტროვის სახელობის ქარხნის კოლექტივის დამრგვალებლის გამოცდილების გავრცელება, ხელის ჩაის საკრეფი მანქანების წარმოებისა და შეძენის, ვაჭრობის ობიექტებზე ხელორმატიული ნაშთების მნიშვნელოვანი შემცირების საკითხები და კიდევ ბევრი, ბევრი სხვა რამ.

მაგრამ ჩვენ არ უნდა დავჯერდეთ ამას იმიტომ, რომ ბევრი ჩვენი გადაწყვეტილება, რომლებიც, როგორც წესი, ძალზე კარგია, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ სრულდება სათანადოდ, ანდა საერთოდაც არ სრულდება. მეტად დიდ შეშფოთებას იწვევს ფაქტები, რომლებიც მოწმობს, რომ ზოგჯერ შეუსრულებელი გვრჩება გადაწყვეტილებები, რომლებიც მიღებულია ყველაზე მაღალ დონეზე — ყრილობის, ცენტრალური კომიტეტის პლენუმის, ბიუროს სხდომის დონეზე.

აქაც მოვიყვან რამდენიმე მაგალითს.

ცენტრალური კომიტეტის მოხსენება საქართველოს კომპარტიის „ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის II პლენუმზე შეიცავდა დავალებას სერიოზულად გავრკვეულიყავით ჩვენს რესპუბლიკაში ქვანახშირის მოპოვების შემცირების მიზეზებში. ეს უკვე ორი წელი გავიდა, მაგრამ ამხანაგები ამ საკითხში ბოლომდე დღესაც არ გარკვეულან, ბოლომდე არ მიუყვანიათ საქმე. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ მომდევნო, 1977 წელს, ქვანახშირის მოპოვება 8,1 პროცენტით შემცირდა და 1970 წლის დონის სულ 75 პროცენტი შეადგინა. ასეთივე მდგომარეობაა მიმდინარე წელსაც. დღემდე არ აღმოფხვრილა ქვანახშირის მრეწველობის ჩამორჩენის ძირითადი მიზეზები. კვლავ იორვეცა ახალი სამთო გვრიალების სიცენტრალიზაციიდ დადაცემის დადგენილი ვადები, კვლავ ნელია გვრიალგაყვანის ტემპი მოკმეულ შახტებში.

ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის III პლენუმზე ამოცანად დავისახეთ, რომ უფრო ეფექტურად ეფექტიანობით შეგვესწავლა ახალი სტრუქტურული ფორმირებების (გაერთიანებების) მუშაობა მრეწველობისა და მშენებლობის დარგში და საკავშირო ორგანიზაციის მონაწილეობით ანგარიშგვეწია ამ ქვეგანაყოფების შემდგომი სრულყოფის დიდმნიშვნელოვანი საკითხები. ეს საკითხები, კერძოდ, თბილისის ჩარსაშენებელი გაერთიანების საქმის ვითარება, განხილული იყო ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში, მაგრამ საწარმოო და სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანებათა მუშაობაში თვისებრივად ახალი ეტაპი, რაზეც ლაპარაკი იყო პლენუმზე, ჯერ-ჯერობით არ დამდგარა, ძირეული გარდატეხა მათ საქმიანობაში არ მომხდარა.

ეს პრობლემები დიდი ხანია ღღის წესრიგში დგას. ისინი ბოლოს და ბოლოს, უნდა გადაწყდეს მინისტრთა საბჭოში, რათა III პლენუმის დადგენილებამ კონკრეტული გამოხატულება პოვოს საწარმოო გაერთიანებათა მუშაობის მკვეთრი გაუმჯობესებით. უფრო აქტიურად უნდა მოჰკიდონ ხელი ამ საკითხების გადაწყვეტას პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებში.

(დასასრული მე-2 გვ.)

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის გრძანებულება

საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ კანონის“ 24-ე, 25-ე და 27-ე მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სს რესპუბლიკისაგან სსრ კავშირის მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს არჩევნების საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

კურტანიძე გიორგი ნიკოლოზის ძე — თბილისის ფოლადთუჯამსხმელი ქარხნის მუშაკი, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

კვაჭაძე ზინაიდა არსენის ასული — საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოსაგან.

საარჩევნო კომისიის მდივანი

ხაბეიშვილი სოლიკო ევგენის ძე — საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტისაგან.

საარჩევნო კომისიის წევრები:

აგრბა ნატალია ალექსანდრეს ასული — გაგრის სანატორიუმ „თბილისის“ კოლექტივისაგან.

არაქელიანი არტუშ ხორსიკის ძე — ბოგდანოვკის რაიონის გონდრიოს საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ბაგიროვი აზიზ აფოს ძე — თბილისის № 1 რკინა-ბეტონის ნაკეთობათა ქარხნის პირველადი კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

ბარამიძე ნადეჟდა რამაზის ასული — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ გონიოს კოლმეურნეობის წევრებისაგან.

გუგუჩია ალდა მამიას ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

გოგლევი მიხეილ ივანეს ძე — ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოსაგან.

გურგენიძე ნელი ვლადიმერის ასული — თბილისის საქალაქო კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

დავითაშვილი მიხეილ დანიელის ძე — ზაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქციის კოლექტივისაგან.

იუსუბოვი იუსუბ გუსეინ ოღლი — სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის მარნეულის რაიონული ორგანიზაციისაგან.

კასრელიშვილი ივანე ვახტანგის ძე — საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის გურჯაანის რაიონული ორგანიზაციისაგან.

კესაევა ტატიანა პაველეს ასული — ცხინვალის ქარხანა „უმალსადენის“ მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ლანდია ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისაგან.

სობოლევა ანტონინა სერგის ასული — რუსთავის აბრეშუმეულეული ქარხნის მუშების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეებისაგან.

ჩაჩუა ოთარ ნოეს ასული — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ჯ. გილაშვილი.

სამტრედიის რაიონის გომის მუბოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამ

ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის საგოლოო სიტყვა

(დასასრული)

ცენტრალური კომიტეტის IV პლენუმმა დასახა რესპუბლიკის მთელი რთული სატრანსპორტო მეურნეობის მოწესრიგების ამოცანა. 1976 წლის ნოემბრის შემდეგ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს მთელი რიგი გადაწყვეტილებანი ტრანსპორტის მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, და მაინც ამ დარგში ჯერ კიდევ ვაწყდებით სერიოზულ ნაკლოვანებებსა და გადაუწყვეტელ პრობლემებს, მხედველობაში გვაქვს პრობლემები, რომელთა გადაწყვეტა დამოკიდებულია ჩვენზე, რესპუბლიკურ ორგანოებზე.

ამავე პლენუმზე ითქვა, რომ საჭიროა განვახორციელოთ კონკრეტული ღონისძიებანი ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის შემდგომი განვითარებისა და მისი პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებისათვის. ეს საკითხები არაერთხელ განგვიხილავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში, მიგვიღია დადგენილებანი, ადგილზე ჩასულან პასუხისმგებელი მუშაკები, მაგრამ საქმე ადგილიდან ვერა და ვერ დაძრულა.

პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულების მხრივ ასევეა ნაკლოვანებანი გვაქვს სოფლის მეურნეობის დარგშიც. მეტად ნელა წარმოებს მუშაობა სამოო მიწათმოქმედების და განსაკუთრებით მეცხოველეობის იმ მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის, რომელიც შეძენილია მოძმე რესპუბლიკებში და საზღვარგარეთ.

როცა მომსახურების სფეროში საქმის მდგომარეობაზე, ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის V პლენუმის გადაწყვეტილებების შესრულებაზე ვლაპარაკობთ, უნდა აღვნიშნოთ რომ ჩვენში ჯერ კიდევ სათანადოდ არ სრულდება მისი მითითება, რომ საჭიროა შევიმუშაოთ ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო სამსახურების ობიექტებისადმი რესპუბლიკის მსხვილი საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეფობის კონკრეტული გეგმა. ქალაქ თბილისის ლენინის, პირველი მაისისა და საქართველო რაიონებში ეს საკითხები გადაწყდა. მაგრამ მთლიანად რესპუბლიკაში ჯერ-ჯერობით რაიმე სერიოზული ძვრა ამ მიმართულებით არ შეიმჩნევა, ჯერ-ჯერობით არა გვაქვს რესპუბლიკური მასშტაბით ამ შეფობის კონკრეტულად შემუშავებული გეგმა. ჩვენი ხელმძღვანელი ორგანოები ჯერ კიდევ ცუდად ასრულებენ V პლენუმის გადაწყვეტილებებს ვაჭრობასა და მოსამსახურების სფეროში სათანადო წესრიგის დამყარების შესახებ.

ნაკლოვანებანი გვაქვს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების იმ გადაწყვეტილებათა შესრულებაშიც, რომლებიც მეცნიერებისა და კულტურის დარგს ეხება. უკვე აღნიშნულ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის II პლენუმზე ითქვა, რომ საჭიროა ზუსტად განსაზღვროს რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტისა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ფუნქციები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაგეგმვისა და მართვის დარგში. ზოგი რამ ამ მიმართულებით უკვე გაკეთდა. მინისტრთა საბჭომ მიიღო მთელი რიგი დადგენილებანი, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში შეიქმნა მეცნიერებისა და ტექნიკის განყოფილება, გადაწყდა ზოგიერთი კონკრეტული ამოცანა. მაგრამ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების ცენტრალიზებულ მართვას, როგორც ეს ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გვქონდა წარმოდგენილი, ჯერ-ჯერობით ვერ მივაღწიეთ. განაწილებული და ზუსტად განსაზღვრული არ არის საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის, მეცნიერებათა აკადემიის, სახმშენისა და სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ფუნქციები მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხელმძღვანელობის საქმეში. არსებული გადაწყვეტილების მიუხედავად, ჩვენში ჯერ კიდევ არ შექმნილა მეცნიერული კვლევის დაგეგმვის, კოორდინაციისა და დაფინანსების ის სახალხო მეურნეობაში მისი შედეგების დანერგვის მწყობრი სისტემა, ისევე როგორც არა გვაქვს მეცნიერული კვლევის მეცნიერულად დასაბუთებული კომპლექსური წლიური, ხუთწლიანი და პერსპექტიული გეგმები. ეს კი ნიშნავს, რომ პრაქტიკულად ჩვენში არავინ არ ეუბნება მეცნიერების განვითარების პროგნოზირებას რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივასთან მჭიდრო კავშირით. ვფიქრობ, დამეთანხმებით, თუ ვიტყვი, რომ ამხ. ე. ა. ხარაძეს საესებით სწორად აღძრა დღეს მეცნიერების განვითარებისა და წარმოებაში მეცნიერული მიღწევების დანერგვის ძალიან მწავე, ძალიან მტიკვნეული პრობლემები.

უნდა ვთქვა, ამხანაგებო, რომ ეს სრულიადაც არ არის იმ ყველა გადაწყვეტილების სრული ნუსხა, რომლებიც დღემდე შეუსრულებელი დარჩა.

აი სულ ცოტა ხნის წინანდელი ფაქტი. რომელსაც ნაკვაწყდი ფოთში, სადაც უშველენ წყალქვეშა-ურთიან გემებს. ამ მხრივ ფოთელები მსოფლიოს გემთმშენებელთა შორის პიონერები არიან.

რამდენიმე წლის წინათ დავსახეთ ამოცანა აგვეთვისებინა ახალი მაღალი კონკურენტუნარიანი მანქანა, რომელსაც „ალბატროსი“ ეწოდება. სამინისტროსთან ერთად შეგადგინეთ გეგმა, შევიმუშავეთ ყველა საჭირო ღონისძიება. რამდენიმე ხნის შემდეგ მოგვახსენეს, ყველაფერი ნორმალურად მიდის, დასახული ღონისძიებანი სრულდებიო. რამდენიმე დღის წინათ კი ვიყავი ქარხანაში, და გამოირკვა, რომ საქმე არაფერ ჯერ წაწეულა წინ, არათუ გადაწყვეტილი არ არის, არამედ არც კი განუხილავთ ბევრი სრულიად პრინციპული საკითხი. მაგალითად. დღემდე გიორკვეველია, რომელ ძრავას დაუდგამენ ამ მანქანას, და ჯერ კიდევ არაკენ არ იცის. არის თუ არა ისეთი ძრავა, რომელიც უზრუნველყოფს მანქანის გათვალისწინებულ პარამეტრებს.

გაუგებარია, როგორ უნდა მომხდარიყო ასეთი რამ. გადაწყვეტილება მიღებულია, გეგმა შემუშავებულია, საქმე კი ადგილიდან არ იძრაზე. და ეს, ამხანაგებო, არაკის არ აუწუხებს. არაფის არ ალელვებს!

რა ხდება? რა არის ეს? იქნება ზოგიერთ ამხანაგს არ უნდა მუშაობა. არ სურს შეასრულოს თავისი უშუალო მოვალეობანი, ან იქნება სხვა რაიმე მიზეზებია?

ჩვენი აზრით. ჩვენთან ცენტრალურ კომიტეტში, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში, ჩვენს სამინისტროებში და ადგილებზეც, არის ერთი საერთო სენი. ეს სენი იმით გამოიხატება, რომ ყოველთვის ვერ ვახერხებთ მთელი ყურადღება დავუთმოთ უმთავრეს, უძირითადეს პრობლემებს.

ძალიან ხშირად თავს ნებას ვაძლევთ მწყობრდეთ საკითხებს, რომლებიც უნდა წყდებოდეს სხვა დონეზე, ვთქვათ, უშუალოდ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში, მთავარმომარაგებაგასაღლებაში, სამინისტროებში, ადგილობრივ ორგანოებიში. ძალიან ბევრ დროს, მაგალითად, ჩვენთან, ცენტრალურ კომიტეტშიც, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოშიც, გვარშიმევს მეორხარისხოვანი სამეურნეო საკითხების გადაწყვეტა, თუმცა ამ მიზნებისათვის აგრეთვე არის შესაბამისი ორგანიზაციები და შესაბამისი ორგანები.

მოდით, ენახოთ, ამხანაგებო, და თუ ამ ორგანიზაციებში ისეთი ადამიანები სხედან, რომლებიც ცუდად მუშაობენ — ისინი, ალბათ, შეიძლება და კიდევაც უნდა შევცვალოთ და ისე მოვიქცეთ, რომ თითოეული მუშაკი, თითოეული ორგანიზაცია ასრულებდეს მისთვის დამახასიათებელ ფუნქციებს, დაკისრებულ მოვალეობებს, თორემ პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მისი ნოემბრის პლენუმის მიერ ჩვენს წინაშე დასახულ ამოცანებს თავს ვერ გავართმევთ.

ბოლომდე ვერ აღმოგვიფხვრია პარალელიზმი პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილებების, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს განყოფილებების მუშაობაში. ვაფუძდით ხოლმე ფაქტებს, როცა არა მარტო პარტიული ორგანოები ეწევიან საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მაგივრობას, არამედ ზემდგომი საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებიც სწევენ ქვემდგომი ორგანოების მაგივრობას, როგორც ხედავთ, ღღეს იძულებული ვართ სერიოზულად გავაკრიტიკოთ ის ორგანოები, რომლებიც მოვალენი არიან სანმეშონი იყვნენ საშემსრულებლო კულტურით და საშემსრულებლო დისციპლინით. საკითხავია, როგორ შეუძლია მშვიდი ძილი ხელმძღვანელს, როცა იცის, რომ ზემდგომი პარტიული ორგანოს გადაწყვეტილება არ სრულდება, რომ ამ გადაწყვეტილებას ჩაშლის საფრთხე ელის?

ზოგიერთ ჩვენს მინისტრს, სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელს ჯერაც ვერ უსწავლია სამუშაო დროის რაციონალური გამოყენება. ცენტრალურ კომიტეტს არაერთხელ მოუთხოვია მინისტრების მოადგილეების, სამმინისტროთა მთავარი სამმართველოებისა და სამმართველოების უფროსების პასუხისმგებლობის ამაღლება. მაგრამ ისაც არ არის არსებითი ძვრები. არ ეუფრთხილდებით, ამხანაგებო, ჩვენი ხელმძღვანელი კადრების, მინისტრების, დირექტორების, სხვა ხელმძღვანელების სამუშაო და პირად დროს. გადაყოფილი ვართ უპირატესად მიმდინარე საქმეებს და ასეთსავე გზაზე ვაყენებთ ჩვენს ხელქვეითებსაც. ბევრ ამხანაგს საერთოდ დრო აღარ რჩება თვითგანათლებისათვის, თავისი ცოდნის სრულყოფისათვის, პროფესიული დონის ამაღლებისათვის, გონებრივი ჰორიზონტის, გაფართოებისათვის, და ამის შედეგად, ცალკეული ამხანაგები თანდათან ჩამორჩებიან ხოლმე ცხოვრებას, ვეღარ აკმაყოფილებენ ჩვენი პარტიის თანამედროვე მოთხოვნებს.

რაც შეიძლება ნაკლები ფუსფუსი, ნაკლები გულსწრაფობა, ფაციფუცი, რაც, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ძალიან ბევრია ჩვენს ხელმძღვანელ ორგანოებში. ნაკლები ხმაური, ამხანაგებო, რაც შეიძლება მეტი ორგანიზებულობა, მეტი გონგრილიანობა, ნამდვილი ბოლშევიკური, **ლენინური გონგრილიანობა, კონკრეტულობა მუშაობაში, უნარი — ჩავწვდეთ დედაარსს, მკაცრად გავაკონტროლოთ, ყოველდღიურად შევამოწმოთ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულება, განვამტკიცოთ საშემსრულებლო დისციპლინა!**

დღეს ამხ. თ. ა. დაფლეშვილის გამოსვლაში ძალიან მწვავედ დაისვა იმ პრობლემებზე რეაგირების საკითხი, რომლებიც აღიძვრება ხოლმე პლენუმებზე, აქტივის კრებებზე, ყრილობაზე. რატომ ხდება ასეთი რამ? წარჩინებული მუშა, ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გამოდის პარტიის ყრილობაზე, სვამს ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომ საჭიროა შეიქმნას სპეციალური განყოფილება პოლიტექნიკური ინსტიტუტის გორის ფილიალში, რომელიც მოამზადებს კადრებს გორის ბამბეულის კომბინატისათვის, შესაბამის ორგანოებს, მათ ხელმძღვანელებს კი შესაძლებლად მიაჩნიათ არც კი გამოეხმაურონ ამას, არც კი უპასუხონ დასმულ საკითხს.

უკანასკნელ ხანს **ამხანაგებს ბ.** ვ. ადლეიბას, ვ. რ. პაპენიძეს, ფ. ს. სანაკოევსა და სხვა პარტიულ მუშაკებს არაერთხელ აღუძრავთ საკითხები. სახალხოსამეურნეო გეგმების შედგენისა და დამტკიცების პროცესში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა შესახებ. სამწუხაროდ, არც ცენტრალურ კომიტეტში, არც მინისტრთა საბჭოში, არც სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში არაფინ არ მოჰკიდებია სერიოზულად ამ საკითხის შესწავლას, არაფის არც კი უნებებია მოეწერა ამხანაგები და მათთან ერთად განეხილა ამ დიდმნიშვნელოვანი საქმის ყველა ასპექტი.

ჩვენს საშემსრულებლო საქმეში ჯეროვანი წესრიგის დამყარებაზე უაღრესად სწორად, უაღრესად მწვავედ ილაპარაკა ღღეს წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯიფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ნ. ს. ყოჩიაშვილმა. ანალოგიური საკითხები სხვადასხვა აპექტით აღძრეს თავიანთ გამოსვლებში ამხანაგებმა ე. კ. ხარაძემ, ნ. ვ. გუბგენიძემ, ა. ო. მოსესიანმა, ო. ი. ღლონტმა, თ. ი. მოსაშვილმა. ვ. მ. გონჩაროვმა, ნ. შ. ავალიანმა, ნ. ა. ბეოორკობიანმა, ვ. ი. გვარჯალიძემ, ვ. ლ. ბატიაშვილმა, გ. პ. გამცემლიძემ. კ. ს. მაზედოვმა, ნ. ნ. ნეფედოვმა, კ. ვ. ჯანკლავამ, ყველა გამოსულმა ამხანაგმა.

რა ეუწოდოთ **კრიტიკული გამოსვლებისა** და **კონსტრუქციული წინადადებებისადმი** ასეთ მიდგომას? როგორ შეეგუებოთ ყოველივე ის, რაც ჩვენში ხდება? პლენუმის მონაწილეები, ალბათ, დამეთანხმებიან, თუ ვიტყვი, რომ ეს მანკიერი პრაქტიკაა, რომ ასეთი მიდგომა სხვა არა არის რა თუ არა ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინება ხელმძღვანელი ორგანოების მხრივ. სწორედ ეს არის კრიტიკის ჩახშობის ფარული ფორმა, სწორედ ეს არის ჩვენი პარტიული და სახელმწიფო ცხოვრების დემოკრატიული პრინციპებისადმი უპატივცემლობის გამოვლინება.

ვიმედოვნებთ, რომ **ამხანაგები** საჭირო დასკვნებს გამოიტანენ კომუნისტების წინადადებებისა და რეკომენდაციებისადმი ასეთი მცდარი, არაპარტიული დამოკიდებულების კრიტიკიდან.

მაგრამ არის საქმის სხვა მხარეც. ლაპარაკია იმაზე, რომ ზოგიერთი კომუნისტი და უპარტიო ფართოდ სარგებლობს კრიტიკის უფლებით, და სავსებით სწორადაც იქცევა, მაგრამ ზოგიერთი მათგანი იეიწყებს თავის მოვალეობებს, თავის პარტიულ, თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას.

სავსებით სწორად მოიქცა ამხ. ნ. ე. გურგენიძე, როცა ასე მწვავედ დააყენა იდეოლოგიურ ინსტიტუტებში მომუშავე ამხანაგების პასუხისმგებლობის საკითხები. ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმზე ვიმეორებთ ამ იდეოლოგიური ინსტიტუტების ყველა კომუნისტის ამოცანები. ჩვენ ვგრძნობთ, რომ ჩვენი მრავალეროვანი ინტელიგენციის აბსოლუტური უმრავლესობა — ბევრი ჩვენი მწერალი, კინემატოგრაფისტი, მხატვარი, კომპოზიტორი, თეატრის მუშაკი, ჩვენი ფსიქოლოგები, რომლებზეც ამხ. გურგენიძემ ილაპარაკა, ბევრი ისტორიკოსი, ფილოსოფოსი, უმაღლესი და საშუალო სკოლის მუშაკი, პარტიის ისტორიის დარგში მომუშავე ბევრი სპეციალისტი — გულწრფელად გეუხმარებიან ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში.

მაგრამ კომუნისტებს შორის, იდეოლოგიის სფეროში მომუშავე ამხანაგებს შორის არიან ისეთნაც, რომლებიც არათუ არ გვეხმარებიან, პირიქით, ხელს გვიშლიან, ცალკეულ სფეროში, ზოგჯერ ისეთ მაგნე დოგმებსა და პრობლემებსაც კი იგდაუტეგენიან, რომლებსაც უკვე დიდი ხანია გაეცა პასუხი, რომლებიც უკვე დიდი ხანია გადაწყდა.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მუშაკები, სულიერი ფასეულობის მუშაკები, უკლებლივ ყველანი უნდა ეხმარებოდნენ პარტიას ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, უნდა ეძებდნენ და პოულობდნენ ყველა მომწიფებული, საჭირბოროტო და სადავო საკითხის ყველაზე ოპტიმალური, ყველაზე გონივრული გადაწყვეტის გზებს, უნდა გაბიბსუვალონ ქვეყნისა და ხალხის აწმყოსა და მომავლისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით.

პარტიული ორგანიზაციები, პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, და ჩვენც, ცენტრალურ კომიტეტში, უფრაფდებით უნდა ვიდეგნებოდეთ თვალს იმას, თუ როგორ ასრულებენ კომუნისტები თავიანთ საწესდებო მოვალეობებსა და სახოგადოებრივ დავალებებს.

ჩვენ კვლავაც უნდა განვაგრძოთ ისეთი პრაქტიკა, როცა ცენტრალური კომიტეტის ბიუროს თუ სამდივნოს თხოვნის ყოველი სხდომა განიხილავს წინათ მიღებულ გადაწყვეტილებათა. ნაკლი ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს, შეიმუშავებს მათი განხორციელების ორგანიზაციულ ღონისძიებებს.

კიდევ უფრო უნდა დავზვეწოთ სისტემა, რომელიც საშუალებას, გვაძლევს განსაკუთრებული კონტროლი გავუწიოთ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების შესრულებას. ამ მიზნით თითოეული ამ მაჩვენებლის შესრულებისათვის პასუხისმგებლობა ჩვენ დავაკისრეთ ცენტრალური კომიტეტის ცალკეულ წევრებს და დავალებენ მათ გაუძღვნენ სხვადასხვა პრობლემას, საშეურნეო მშენებლობის სხვადასხვა უბანს. როგორც ჩანს, საჭიროა უფრო რეგულარულად მოვისმინოთ ხოლმე ამ ამხანაგების ინფორმაციები, რაც, უეჭველია, დადებითს შედეგებს მოგვცემს.

უფრო რეგულარულად უნდა მოვისმინოთ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნების, სამინისტროთა და უწყებათა, ცალკეულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ანგარიშები და ინფორმაციები იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება პარტიის დირექტივები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი. პრაქტიკულად **როგორ წყდება ცალკეული რეგიონების სახალხო მეურნეობის** განვითარების, ცალკეული შრომითი კოლექტივების **აქტუალური.** საკვანძო პრობლემები.

უაღრესად სასარგებლო გამოდგა ჩვენთან, ცენტრალურ კომიტეტში ხორცისა და რძის მრეწველობის მინისტრის, კვების მრეწველობის მინისტრისა და მისი პირველი მოადგილის ანგარიშების, პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნისა და თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივნის ანგარიშების, პარტიის გორისა და წყალტუბოს საქალაქო კომიტეტების, მარნეულისა და კასპის რაიონების ინფორმაციების მოსმენა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცალკეულ დადგენილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ და სხვ.

შესრულების კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განხილვასთან ერთად, ჩვენ, უწინარეს ყოველისა, უნდა გავადიდოთ მომთხოვნელობა დარგების, ცალკეული რეგიონების ხელმძღვანელებისადმი, განსაკუთრებით იქ, სადაც ჯერ კიდევ ყოვნდება მოწიფეფული საკითხების გადაწყვეტა. ვერაფერს ვერ ვეპატიებით იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც მეტად იოლად, პირდაპირ რომ ვთქვათ, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს, ვერ უზრუნველყოფენ უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და სოციალური ამოცანების შესრულებას.

ცენტრალური კომიტეტის წინა პლენუმზე ჩვენ მკაცრად გავაკრიტიკეთ ამხანაგები. რომლებიც ხელმძღვანელობენ რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობას. ქალაქ თბილისის კომუნალურ მომსახურებას, განაგებენ ჩვენი ქალაქების კეთილმოწყობის საკითხებს.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს სსრ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შეუსრულებლობისათვის თანამდებობიდან განთავისუფლდა რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ამხ. ი. ზედგინიძე. სამწუხაროდ, იძულებული ვართ ხოლმე ასეთ უკიდურეს ღონისძიებებს მივმართოთ, როცა ზოგიერთ ჩვენს ხელმძღვანელზე, რომლებიც დავალებებს ვერ ასრულებენ, ზემოქმედების სხვა მეთოდები არ ჭრის. ჩვენ განზრახული გვქვს კვლავაც გავაძლიეროთ მინდობილი საქმისათვის თითოეული ხელმძღვანელის პერსონალური პასუხისმგებლობა მისი რანგის მიუხედავად.

ყოველმა ხელმძღვანელმა კარგად უნდა შეიგნოს, რომ შესრულების შემოწმება უწინარეს ყოვლისა შესრულების ორგანიზაციას ნიშნავს.

ვ. ი. ლენინ[illegible] ანიშნებდა პარტიულ [illegible] ხელმძღვანელთა პირად მონაწილეობას შესრულების შემოწმებაში, [illegible] ეწერა: „[illegible] ეწერნარეს ყოველისა [illegible] საათი პირადი შემოწმებისათვის დაეთმოთ“.

ცნობილია, რომ თვითონ ლენინი, დიდი მოუცლელობის მიუხედავად პოულობდა დროს, რათა პირადად და სისტემატურად გაეფიქვენებინა თვალი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების შესრულებისათვის. იგი ასწავლიდა კადრებს, როგორ უნდა ხდებოდეს შემოწმება. ამისათვის ვლადიმერ ილიას ძე გამოითხოვდა ხოლმე რომელმე გადაწყვეტილების შესრულების ანგარიშს, უყურადღებით სწავლობდა ბევრ საკითხს, ძირფესვიანად ეცნობოდა საქმის ვითარებას. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებისაგან იგი მოითხოვდა, რომ მათი მუშაობის სიმძიმის ცენტრი შესრულების შემოწმება ყოფილიყო. „შესრულების შემოწმება, იმის შემოწმება, თუ საქმით რა გამოდის — აი თქვენი ძირითადი და მთავარი ამოცანა...“, — წერდა ვ. ი. ლენინი.

ლენინის მითითებისამებრ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საქმიანობა ამჟამინდა მკვეთრად გაზარდოს ცენტრალური კომიტეტის ყველა წევრის პასუხისმგებლობა მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. ამ მიზნით ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებამ უნდა შეიმუშაოს ამ პასუხისმგებლობისა და მისი დაცვისადმი კონტროლის სისტემა და წინადადებანი განსახილველად წარუდგინოს ცენტრალური კომიტეტის ბიუროს.

ყველა ეს პრობლემა, ყველა ეს ამოცანა გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებიდან. რომლის მუშაობა, ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის ბასრეთით ულიდესი ორგანიზებულობის, მუშაობის ლენინური სტილის, კონკრეტულობისა და საგნობრივობის დიდებული ნიმუშია.

ამასთან დაკავშირებით საფუძვლიანად უნდა გავაანალიზოთ ჩვენი მუშაობის სტილი და მეთოდები, გადავსინჯოთ ზოგიერთი მისი ასპექტი, განვსაზღვროთ, თუ რომელი ფორმებია ყველაზე ეფექტიანი, ყველაზე ქმედითი და, როგორც იტყვიან, შევიარაღდეთ ასეთი ფორმებით.

ჩვენ მოხსენებაში ვთქვით, რომ გაისად გაიმართება ცენტრალური კომიტეტის პლენუმი კადრების საკითხებსა და ჩვენი მუშაობის სტილის სრულყოფის საკითხებზე. და ახლა მინდა გავიმეორო, რომ პლენუმისათვის სერიოზულად უნდა მოვემზადოთ. ვიმედოვნებთ, რომ ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის წევრები, ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო აქტივი — რესპუბლიკის ყველა კომუნისტი უაღრესად ქმედითს, უაღრესად აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ პლენუმის მასალების მომზადებაში. დარწმუნებული ვართ, რომ შემოტანილი იქნება მეტად საინტერესო წინადადებანი, რეკომენდაციები და რჩევა.

ჩვენი მთავარი ამოცანა ის არის, რომ პლენუმისათვის მზადება კონსტრუქციულად მიმდინარეობდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაკლოვანებები და ხარვეზები უნდა გამოვავლინოთ ოა ღმოვფხვრათ პლენუმისათვის მზადების პროცესში, და ისე გვნდა, რომ პლენუმზე მოვიდეთ უკვე მზა, დამუშავებული, პრაქტიკულად შემოწმებული წინადადებებით, რეკომენდაციებით, ჩვენი ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა უბანზე შეძენილი ლენინური მოთხოვნების შესაბამისი მოწინავე გამოცდილებით.

საქმე ეხება იმას, რომ კადრებთან მუშაობისა და მუშაობის სტილის სრულყოფის საკითხებმა, როგორც ეს მრავალგზის მოუთხოვია ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევს, ცენტრალური ადგილი დაიკავოს მთელ ჩვენს მუშაობაში, მთელ ჩვენს საქმიანობაში.

აი, ძირითადად, ყველაფერი ის, რაც მინდოდა მეთქვა ჩვენი პლენუმის დასასრულს.

რადგანაც ჩვენ თითქმის ახალი წლის ზღურბლზე შევკრებით, ნება მიბოძეთ, გულითადად მოგიღოცოთ თქვენ, აგრეთვე თქვენს თანამშრომელ ამხანაგებს, თქვენს ოჯახებს ახალი, 1979 წელი, მეათე ხუთწლედის მეოთხე წელი და იმედი გამოვთქვა, რომ ეგი ჩვენს რესპუბლიკას და, მაშასადამე, ყოველ ჩვენგანსაც ახალ წარმატებებს მოგვიტანს ცხოვრებასა და შრომაში.

გილოცავთ მომავალ ახალ წელს, ამხანაგებო! გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულსა და დიდ ბედნიერებას!

პარტიისა და ხალხის საბრძოლო პროგრამა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის მონაწილეებმა, რომლებმაც მოისმინეს და განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება „საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1978 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ამ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული მითითებების შესასრულებლად“, მთლიანად და სავსებით მოიწონეს დასკვნები და დებულებები, რომლებსაც ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა შეიცავს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიის გადაწყვეტილებანი.

რესპუბლიკის კომუნისტთა და მშრომელთა სახელით პლენუმის მონაწილეებმა გულწრფელი მადლობა გადუხადეს სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, პირადად ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს საბჭოთა საქართველოზე უდიდესი ზრუნვისა და ყურადღებისათვის, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მისი მიღწევების მაღალი შეფასებისათვის, იმ კურსის მოწონებისათვის, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების აღსადგენად, მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გასაჯანსაღებლად, რაც იმით გამოიხატა, რომ ამხ. ე. ა. შევარდნაძე არჩეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად, და აღუთქვეს, რომ ამ უდიდეს ნდობას რესპუბლიკის თითოეული მშრომელი უპასუხებს ახალი წარმატებებით პარტიის ეკონომიკური და სოციალური პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

პლენუმზე გამოსულნი კანონიერი სიამაყის გრძნობით ლაპარაკობდნენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მოპოვებულ მიღწევებზე, დადებით ცვლილებებზე, რომლებიც მოხდა მისი სხვადასხვა რეგიონის ცხოვრებაში. როგორც მათ აღნიშნეს, ეს შესაძლებელი გახდა იმის მეოხებით, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი განუხრელად ახორციელებს მშრომელთა ფართო მასების მიერ მოწონებულ კურსს — საშუალო-საკავშირო დონისაგან რესპუბლიკის ეკონომიკის წარსულში დაშვებული ჩამორჩენის დაძლევის კურსს, რომ თანამიმდევრულად წარმოებს ბრძოლა მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაუმჯობესებისათვის, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ. ეს წარმატებანი ბევრად განაპირობა ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შემდგომმა სრულყოფამ, სამეურნეო და კულტურული მშენებლობისაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონის ამაღლებამ, შრომითი კოლექტივების ცხოვრებასა და საქმეებში პარტიულ ორგანიზაციათა როლისა და გავლენის გაძლიერებამ.

ამასთან დაკავშირებით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკაში ფართოდ გავრცელებულ მოძრაობას სოციალისტური დისციპლინისა და მისი სხვადასხვა ფორმის ყოველნაირი განმტკიცებისათვის, მინდობილი საქმის გამო თითოეულის პირადი პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის.

ამ დღეებში საქართველოს ეკონომიკის ყველა დარგის საწარმოებში სუფთის მაღალი შრომითი აღმავლობის ვითარება, რომელიც გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებმა. მათ პასუხად რესპუბლიკის მშრომელები აფართებენ ამოქმედებენ წარმოების რეზერვებს, კისრულობენ ვალდებულებებს იმუშაონ უფრო ნაყოფიერად, აამაღლონ ხარისხობრივი მაჩვენებლები. პლენუმის ტრიბუნიდან მათ განაცხადეს, რომ ამ დღეებში იშვა კიდევ ერთი ასეთი თაოსნობა: თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის“ ა. გელაშვილის კომპლექსურმა ბრიგადამ გადაწყვიტა ვ. ი. ლენინის დაბადების 110-ე წლისთავისათვის შეასრულოს ხუთწლიანი დავალება. ამ თაოსნობით გამოიხატა ის, რომ რესპუბლიკის ერთ-ერთი უდიდესი საწარმოო კოლექტივის ათასობით მუშას ღრმად ესმის პატრიოტული მოვალეობა, რომელიც სამშობლოს წინაშე აკისრია.

ამავე დროს პლენუმის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ხარვეზებსა და ნაკლოვანებებს რესპუბლიკის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. მაგალითად, მათ წუხილით აღნიშნეს, რომ მთელი რიგი წამყვანი სამრეწველო სამინისტროები, უწყებები და საწარმოები ვერ უზრუნველყოფენ ხუთწლიანი გეგმით დასახულ შრომის ნაყოფიერების ზრდას. ზოგიერთ დარგში მცირდება ფონდუკუგებისა და არსებული საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების დონე. ზოგიერთი საწარმო და გაერთიანება ვერ ასრულებს ძირითადი და საბრუნავი ფონდების დანახარჯების ეკონომიის დავალებებს, ყველგან არ დ

რაც გვაახარებს და რაც გულს გვტკენს

ამ რამდენიმე დღის წინათ გაიმართა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიონული კონფერენცია. „კომუნისტის“ მკითხველებს ვთავაზობთ ამ კონფერენციაზე კომუნისტის, სსრ კავშირის სახალხო არტისტის ლამარა ჭყონიას გამოსვლას.

ჩემი ცხოვრების მიზნად ხელოვნების სამსახური ამირჩევია. სცენაზე გამოსვლისას ყოველთვის ვფიქრავ, მაგრამ ახლა ეს მეფიქრებია უფრო დიდია, რადგან ვიცი, რომ პარტიული პრესის ტრიბუნიდან უნდა გელაპარაკო. ამითაც სამართალი ადამიანს.

უწინარეს ყოვლისა, მინდა აღტაცება გამოვხატო იმ დიდი მიღწევების გამო, რომლებიც ამ ოცდაათასწლიან ხანაში მოიპოვა ქართულმა ხელოვნებამ. საკმარისია გავიხსენოთ ახლახან დამთავრებული საქართველოს ხელოვნების მუსიკალური დღეები მოსკოვში, რომელსაც ესოდენ მაღალი შეფასება მისცა საკავშირო პრესამ.

განსაკუთრებით გამახარა ჩვენი ბალეტის წარმატებამ. რ. გაბიჩვაძის მუსიკის მიხედვით ბალეტმაესტერ გ. ალექსიძის მიერ დადგმულმა სპექტაკლმა „მედეამ“ საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

სიამაყის გრძნობას იწვევს თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის წარმატებები მოსკოვში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, მექსიკასა და ბუენოსაიერესში, მარჯანიშვილის სახელობის თეატრის კოლექტივის შემოქმედებითი გამარჯვება და ქართული მოზარდ მაყურებელთა თეატრის წარმატებები მოსკოვში. რა თქმა უნდა, კიდევ ბევრი მაგალითის მოყვანაც შეიძლებოდა ჩვენი კულტურისა და ხელოვნების წარმატებებზე.

ჩვენ, ხელოვნების მუშაკები, ყოველთვის ვგრძნობთ, რომ ჩვენი ყოველი გამარჯვების და წარმატების შემოქმედებითი იმპულსის საფუძველია პარტიისა და მთავრობის შეუნელებელი ყურადღება და მზრუნველობა. ამიტომ გულწრფელად მინდა გამოვთქვა დიდი მადლიერება ნიზბლიერი პარტიისა და მთავრობისადმი.

საქართველოს კულტურისა და ხელოვნების აღმავლობის ფონზე განსაკუთრებით თვალში გვიჯდება და ეფდიდეს გულისტკივილს იწვევს ზოგიერთი ჩრდილოვანი მხარე და ნაკლი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

„საბჭოთა ადამიანებს შეუძლიათ გაიგონ ამრნდის პირობებით გამოწვეული სიძნელეები, მაგრამ მათ არ შეუძლიათ და არც სურთ მიიღონ, როგორც არსებული სიძნელეების ახსნა-განმარტება, უყურადღებობის, უპასუხისმგებლობის და დაუდევრობის ფაქტები“.

მართალია, ლ. ი. ბრეჟნევის ეს სიტყვები სოფლის მეურნეობის ზოგიერთ მუშაკს ეხება, მაგრამ, ჩემი აზრით, არანაკლებ საყურადღებოა ჩვენი თეატრის კოლექტივისათვის.

გაზეთის მკითხველებისათვის, ეფექტურობ, ცნობილია ჩვენი თეატრის „უამინდობა“ უკანასკნელ წლებში, დაწყებული ხანძრის შემთხვევით, შემდეგ კლუბში არათეატრალურ ვითარებაში მუშაობით (ეს მხედველობაში მაქვს პროფკავშირების სასახლე) და დამთავრებული იმ სიძნელეებით, რომლებიც დაკავშირებული იყო უკვე ახალი თეატრის შენობის ათვისებასთან.

არის შემთხვევები, როცა თეატრის ახალ დადგმებთან დაკავშირებით გამოვნელით ჩვენს უსუსურობას ე. წ. „უამინდობის“ ნიღაბს ვიფარებთ, რაც ყოველდ შეუწყნარებელ ფაქტად მიმაჩნია. აი, ერთი მაგალითი:

1976 წელს პროფკავშირების კულტურის სასახლის სცენაზე მომზადდა ჩაიკოვსკის ოპერა „პიკის ქალი“. დადგმისათვის დახარჯა 80 ათას მანეთზე მეტი. მაგრამ სპექტაკლი მოიხსნა... ცხადია, დადგმამ კონსერვაციას ვერ გაუძლო. ეზოში უპატრონოდ მიტოვებული ლითონი დაიჟანგა, დეკორაციები გაუხრდა, კოსტიუმებს კი ნესტიან სარდაფში ხავსი ეკიდებოდა.

ახლა მეორე მაგალითი: 1975 წელს პროფკავშირების სასახლეში დაიდგა რ. ლაღიძის მშვენიერი ოპერა „ლელა“, რასაც 26 ათასი მანეთი მოხმარდა. გავიდა ორი წელი და იმავე სპექტაკლს ხელახლა ვდგამთ, რაზეც ამჯერად 21 ათასი მანეთი უნდა დაიხარჯოს! ამ ზედმეტი ხარჯის გაწევა თეატრს უხდება იმიტომ, რომ ადრე, პროფკავშირების სასახლეში შექმნილი დეკორაციები მბრუნავი სცენისათვის გაითვალისწინეს და სრულებითაც არ იფიქრეს იმაზე, რომ ახალი თეატრის სცენა არ ბრუნავდა, ე. ი. დეკორაციები ამ შენობაში არ გამოდგებოდა.

დაუდევრობის გამო ათიათასობით მანეთი გადაიყარა ისეთ დადგმებზე, როგორიც არის „ტარავიატა“, „ჯამბაზები“, „ლონგრინი“, „განდეგილი“, „ძუნწი რაინდი“, „ეიზელი“.

საგალაოოა თეატრის შემოქმედებითი სახე. რომელიც ავტორიტეტული რეპერტუარით უნდა განისაზღვროს. ისეთი აღიარებული ნაწარმოებები, რომლებმაც მსოფლიო საოპერო ხელოვნების ისტორიაში დროის გამოცდას გაუძლეს, ჩვენს რეპერტუარში ალარ ჩანს, მაგალითად: „ყარმენი“, „რიგოლეტო“, „ტოსკა“, „ჯამბაზები“, „ტარავიატა“, „ჩიო-ჩიო-სანი“, „ბოჰემა“, „ევგენი ონეგინი“, „მეფის საცოლე“ და ბევრი სხვა.

შეიძლება რეპერტუარის ასეთი სიღარიბეა ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ თბილისელები, რომლებიც ადრე საოპერო ხელოვნების დიდ სიყვარულს იჩენდნენ, ახლა გული აიცრუეს. ეს გაუგებრობა დიდ ზიანს აყენებს თეატრის არა მარტო ფინანსურ მხარეს, არამედ კიდევ უფრო სერიოზულს, რომელსაც ჩვენი თაობის ესთეტიკური აღზრდა ჰქვია.

არ მეგულება არც ერთი საოპერო თეატრი ჩვენში, და საზღვარგარეთაც კი, რომლის რეპერტუარში არ იყოს რეჟისორის კომპოზიტორთა ნაწარმოებები. ჩვენი თეატრიც რეპერტუარში ერთადერთი ოპერაა — „ო�ანტა“, ისიც ერთმოქმედებიანი.

რით უნდა ავხსნათ ის გარემობა, რომელიც ოპერის თეატრში შეიქმნა მსოფლიო მუსიკალური ხელოვნების შედევრის, ოპერა „ბორის გოდუნოვის“ მიმართ. ჩვენმა თეატრმა საზოგადოებას პრესის საშუალებით ამცნო, რომ იგი ემზადება აღნიშნული ოპერის დასადგმელად. ცნობილი გახდა კიევიდან მოწვეული დირიჟორის, რეჟისორისა და მხატვრის ვინაობაც, გამოცხადდა დადგმის დროც. თეატრმა ავანსის სახით საკმაო თანხა გადაუხადა დამდგმელ ჯგუფს, მაგრამ ოპერის დადგმა გადაიფიქრეს (?). რა მოხდა, გეუგებარია!

ორიოდე სიტყვა თეატრის საფინანსოს, საკითხზე. ჯერ კიდევ 1974 წელს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ თავისი ღია დადგენილებით ქალაქის საბჭოს აღმასკომს დაავალა გაეთავისუფლებინა სამშენებლო ადგილი ისტორიულ ქუჩაზე თეატრის სამბატეროსაწარმოო კომბინატ-სახელოსნოებისა და სათავსების ასაშენებლად. ამ დადგენილების საფუძველზე ქალაქის საბჭოს აღმასკომს ჯერ კიდევ 1975-76 წლებში უნდა გაეყვანა თეატრის სათავსების სამშენებლო ადგილიდან 24 ოჯახი და დაეკმაყოფილებინა ისინი საფინანსო ბინებით. კულტურის სამინისტრომ 300 ათასი მანეთიც გადაურიცხა ქალაქის საბჭოს აღმასკომს, მაგრამ, სამწუხაროდ, სამე ადგილიდან არ დაძრულა. დღემდე თეატრს არ გაეჩინა ის სათავსები, რომლებიც მისთვის აუცილებელია. ახალი დადგმების გამო მატულობს დეკორაციები, კოსტიუმები, მრავალი სხვა ინვენტარი, მათი შესანახი ადგილი კი თეატრს არ ყოფნის. ეს გარემოება, ცხადია, დიდად აფერხებს საერთო საქმეს... ვფიქრობ, მშენებლობის დაგვიანებაში ნაწილობრივ ჩვენი თეატრის დირექციას და კულტურის სამინისტროსაც მიუძღვით ბრალი; მშენებლობა უკვე დაწყებული იქნებოდა, ჩვენ ყველანი ისე რომ ვზრუნავდეთ თეატრის საქმეზე, როგორც ვზრუნავთ საკუთარი ბინების, ოჯახების, ბავშვების ბედზე.

ბოლოს, ამ ცოტა ხნის წინათ მთელმა მსოფლიომ შეიტყო მიტოვებულ შახტში ტალგანტეს რაიონში ფარული სასაფლაოს ანბავი. იქ აღმოაჩინეს ათობით ნახევრად გახრწნილი გვამი, რომლებსაც ბარბაროსული წამების კვალი ანდა.

ისრაელის ახალი აგრესია

ბეირუთი, 22 დეკემბერი. (საკადესი). 20 დეკემბერს, საღამოს ისრაელის სამხედრო თვითმფრინავები 40 წუთის განმავლობაში ინტენსიურად ბომბავდნენ პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკებს სამხრეთ ლიბანში არ-რაშიდიის, ბურჯ აშ-შიმალისა და ალ-ვასიტის რაიონებში. აგრესორები ლტოლვილთა ბანაკებს უშენდნენ ბომბებსა და რაკეტებს. ამავე დროს ისრაელის სამხედრო კატარღები შეიჭრნენ ლიბანის ტერიტორიულ წყლებში და ცეცხლი დაუშინეს დასახლებულ პუნქტს ას-სარაფანდს.

გუშინ დილაადრიან ისრაელის მძიმე არტილერია ცეცხლს უშენდა პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკებს სამხრეთ ლიბანში. მშვიდობიან მოსახლეობაში არიან დახოცილნი. ისრაელის თავდაცვის მინისტრი ვაიცმანი საინსპექციო შემოწმების მიზნით ჩავიდა ისრაელისა და ლიბანის სასაზღვრო რაიონში და რადიოთი გამოსცა ლისას დაემუქრა პალესტინელებს, რომლებიც სამხრეთ ლიბანში ცხოვრობენ.

ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ ისრაელის აგრესიის ახალი აქტები შემადგენელი ნაწილია ტელ-ავივის და ვაშინგტონის დანაშაულებრივი განზრახვისა, რომლის მიზანია ზეგაკლენა მოახდინონ არაბულ ქვეყნებზე და დაიჩქარონ ეგვიპტე-ისრაელის სეპარატული მოლაპარაკების დამთავრება.

საბჭოთა მსახიობები „დიდ კუნძულზე“

ანტანანარივუ, 21 დეკემბერი. (საკადესი). მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის მესამე წლისთავის დღესასწაულისადმი მიძღვნილი საბჭოთა მსახიობების კონცერტები კულტურის დარგში ჩვენი ქვეყნების ნაყოფიერი თანამშრომლობის ბრწყინვალე მაგალითი გახდა, განაცხადა მადაგასკარის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელოვნებისა და რეკონსტიტუციის კულტურის საკითხთა მინისტრმა ჟიზელ რაბესალამ. მან მიიღო საბჭოთა მსახიობები კუნძულის უდიდეს სანავსადგურო ქალაქებში — ტამატავსა და დიეგო-სუარესში კონცერტების შემდეგ.

საკონცერტო ნომრებს საქართველოს, მოსკოვის, ციმბირისა და შუა აზიის ხელოვნების ოსტატთა შესრულებით აღტაცებით შეხვდნენ მაყურებლები. ყველაზე დიდი წარმატება ხვდა საქართველოს სახელმწიფო სიმღერა-ორკესტრს „რერიოს“, მოცეკვავე ტ. ზელენსკაიას, ეკვილიბრისტ ვ. სეროვს.

ფილმი „მაოიზმი — ჩინეთის ტრაგედია“

„მაოიზმი — ჩინეთის ტრაგედია“ — ასე ეწოდება ახალ დოკუმენტურ ფილმს, რომელიც 21 დეკემბერს აჩვენა ცენტრალურმა ტელევიზიამ. ეს მეოთხე პუბლიცისტური ფილმია, რომელიც ამ ხანებში ჩინელი ხალხისათვის უბედურებად ქცეულ მაოიზმს — რეაქციულ მოძღვრებასა და პოლიტიკურ სისტემას.

კინო და ფოტოდოკუმენტების კადრები გვიჩვენებენ, რა მოუტანა მაოიზმმა ჩინელ ხალხს — სახალხო რევოლუციის მონაპოვარია დაღუპვა, ტერორი და უუფლებობა, უბედურებებითა და გაჭირვებით აღსავსე ცხოვრება.

ორ წელზე მეტი გაგიდა მაო ძე-დუნის სიკვდილის შემდეგ, მაგრამ ჩინეთის ტრაგედია გრძელდება. მაოს გზით მიდიან მისი მემკვიდრეები, რომლებმაც ძმათაკვლელ ბრძოლაში მოიპოვეს ხელისუფლება.

შეშფოთებას იწვევს ფილმის კადრები, რომლებიც ამხილებენ მაოიზმის მილიტარისტულ, აგანტიურისტულ დოგმებზე დამყარებული ჩინეთის ახლანდელ ლიდერთა დიდმპყრობელურ საგარეოპოლიტიკურ კურს.

ახალი ფილმი გამსჭვალულია ჩინელი ხალხისადმი ღრმა თანაგრძნობით, რომელიც თავისი ისტორიის უძნელეს პერიოდს განიცდის. ამავე დროს ფილმი აფრთხილებს ყველას: „არ შეიძლება დავუშვათ, რომ ჩინეთის ტრაგედია კაცობრიობის ტრაგედიად გადაიქცეს“.

სურათის ავტორები არიან ჟურნალისტი გაო ლინ-ვეი და რეჟისორი ალექსეი გაბრიელოვიჩი.

(საკადესის კორ).

მოსკოვი.

□

ფრანკოს ძალიმფვილი დაპირპირიმეს

მადრიდი, 21 დეკემბერი. (საკადესი). მადრიდის სასამართლომ ყოფილი დიქტატორის ფრანკოს ქალიშვილს მარიხა დე ვალი

ფოთის ნავსადგური 120 წლისაა



უკანასკნელი წლების შანძილზე სრულიად იცვალა სახე ფოთმა — ერთ-ერთმა უძველესმა ქალაქმა. იგი მოხსენიებულია ოქროს საწმიხის შესახებ მითებსა და ლეგენდებში.

წელს 120 წელი შეუსრულდა ფოთის საზღვაო ნავსადგურს — საქართველოს შავი ზღვის ხანაპიროს პირველ ნავსადგურს. იგი დიდ როლს ასრულებს რესპუბლიკის ეკონომიკაში. ფოთში მსოფლიოს მრავალი ქვეყნის გემები შემოდიან. აქედან გადიან შორეულ რეისებში საზღვაო ლაინერები.

ნავსადგური სულ უფრო ფართოვდება, მიმდინარეობს მისი რეკონსტრუქცია. უკვე მეათე ხუთწლედის დამლევისათვის იგი დიდი ტვირთამწეობის გემების მიღებას შეძლებს.

სურათზე: ფოთის საზღვაო ნავსადგურში.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

ᲩᲔᲡᲠᲘᲒᲘ ᲧᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲨᲘ!

ᲐᲥᲢᲔᲑᲘ... ᲑᲘᲗᲣᲛᲐᲓ

ᲠᲝᲪᲐ ᲡᲐᲣᲛᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲝ-ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ ᲛᲝᲘᲙᲝᲛᲚᲔᲑᲡ

ᲩᲕᲔᲜ გადაჭრით უნდა განვაცხადოთ ყველა დონეზე, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში დისციპლინის ყოველნაირი განმტკიცების ჩვენ მიერ აღებული კურსი — ეს მოწოდება, რომელიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის ტრიბუნიდან გაისმა, როგორც ჩანს, ცეკავშირის სისტემის ზოგიერთი ორგანიზაციის ხელმძღვანელობისათვის ჯერ კიდევ არ გამხდარა მეშაობის სახელმძღვანელო პრინციპად, მათი პირადი პასუხისმგებლობის მთავარ საზომად.

ამას გვიფიქრებინებს ის სერიოზული ნაკლოვანებანი და დარღვევები, რომლებიც ახლახან ცეკავშირის მთელი რიგი ორგანიზაციების სარევიზიო-საკონტროლო მუშაობის შემოწმების დროს გამოვლინდა, და რომელსაც სრას ვერაფერს უწოდებ, თუ არა სამეცნიერო დისციპლინისადმი ყურადღების შესუსტებას, საეჭვო საწარმოთა შემოწმების ორგანიზაციის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ღონისძიების შეუფასებლობას.

გასული წლის ბოლოს ზემდგომი ორგანოების დადგენილებით ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ხელმძღვანელების, აგრეთვე იმ ორგანოების და პირთა პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, რომლებიც ზემოაღნიშნული საწარმოების მუშაობას აკონტროლებენ, შემოღებულ იქნა შემოწმების ერთიანი ნიმუშის აქტები, დამტკიცდა და მკაცრად განისაზღვრა მათი გაცემის, აღრიცხვის, შენახვისა და გამოყენების წესები.

ეს უთუოდ დროული და მეტად ქმედითი სიახლეა, რაც მნიშვნელოვანწილად გაანაირობებს საუწყებო საკონტროლო-სარევიზიო საქმიანობაში სახელმწიფო დისციპლინის სფერაში სახელმწიფო ქონების დატაცების, მომსახურების სფერაში სახელმწიფო ქონების დატაცების, მომზმარებელთა მოტყუების, გამოძალვის და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას.

მაგრამ როგორ შეხვდნენ ამ სიახლეს ცეკავშირის მთელ რიგ ორგანიზაციებში?

მაშინ, როდესაც სადირექტივო მითითებით განსაზღვრული იყო აქტების ადგილებზე დაგზავნის უკანასკნელი ვადა 1978 წლის 1 იანვარი, რაც ზემოაღნიშნულ უწყებაში თავმჯდომარის მოადგილეს რ. კრიბინაშვილს დაეკალა, ისინი ზოგიერთმა რაიონულმა კოოპერატივმა (საჩხერის, ბოლნისის და სხვა) დიდი დაგვიანებით მიიღო, ხოლო რუსთავისა და თბილისის კოოპერაციებს ორობა ადეს მიღებული.

არის ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც. იმისათვის, რომ გამოირიცხოს შემმოწმებლის ნიერ აქტების ანგარებითი გამოყენების ყოველგვარი შესაძლებლობა, შემმოწმებელს აძლევა სპეციალური მანდატი — ნებართვა, რომელშიც მითითებულია არა მარტო კონკრეტული ობიექტები, არამედ იმ საკითხების ნუსხაც, რომლებიც უნდა შემოწმდეს.

მისი უგულებელყოფა ნიშნავს იმას, რომ გარკვეულად კონტროლიორ-რევიზორს ეუბიძგოთ არაკანონიერი მოქმედებისაკენ.

ასეთი ფაქტები კი ერთ-ორი როდია.

განა რაიმე გამართლება შეიძლება ჰქონდეს თელავის რაიკოოპერატივის სარევიზიო განყოფილების უფროსის ვ. ბაღახაშვილის „ოპერატიულობას", როცა მან 31 იანვარს მიღებული აქტებიდან ორი ცალი მხოლოდ ივნისში გამოიყენა, სამი ცალი გამოუყენებელი აქტი კი მიღებიდან ხუთი თვის შემდეგ დაამტვრა, ნუთუ რაიკოოპერატივის ხელმძღვანელობა არ დაინტერესდა, რატომ დაქონდა ჯიბით მის მუშაკს შეუვსებელი აქტი ამ ხნის მანძილზე?

ამ უკანასკნელ ხანს შეიმჩნევა ავრეთვე ზოგიერთი რაიკოოპერატივის მიერ დაქვემდებარებული ობიექტების კონტროლის შესუსტების ტენდენცია. მაგალითად, ჭიათურის რაიკოოპერატივში 142 საავტო ობიექტია, მათ შორის 28 პურის საცხობია, რომელთა მუშაობა, მათი პროდუქციის ხარისხი წლეულს საერთოდ არ შემმოწმებულა. ეპიზოდურად იწყობა შემოწმებები ხობის, დმანისის, გეგეჭკორის, ცხაკაიას და სხვა რაკოოპერატივების საწარმოებში.

წესრიგი ყველგან და ყველაფერში. — თითოეული სამეხისტროს, უწყების, ორგანიზაციის თუ საწარმოს საქმიანობის ეს სადღეისო მთავარი პრინციპი განუხრელად უნდა სრულდებოდეს. მით უფრო საკონტროლო-სარევიზიო რგოლში, რომელსაც ევალება საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისათვის და ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში ერთ-ერთი წამყვანი, გადამწყვეტი როლი აკისრია.

გ. სამსონაძე.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

„ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲘ ᲤᲔᲠᲤᲚᲘ"

ᲩᲕᲔᲜᲘ მკითხველის წიგნის თაროს შეემატა ჰინდური პროზის თვალსაჩინო წარმომადგენლის, პროგრესული ინდოელი მწერლის, ინდოეთის ლიტერატურული აკადემიის პრემიის ლაურეატის **ბჰიშამ საჰნის** მოთხრობების კრებული სათაურით **„მოგზაური ფერფლი".**

ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი ინდოელი კომუნისტი მწერალი ბჰიშამ საჰნი რამდენიმე წელს მთარგმნელად მუშაობდა მოსკოვის ჟურნალ „ლიტერატურულ საქართველოში" და ხელს უწყობდა საბჭოთა ლიტერატურის პოპულარიზაციას ინდოეთში. მას შემდეგ იგი საბჭოთა კავშირის ზჩორი სტუმარია, ყოფილა საქართველოშიც.

ბ. საჰნის წინამდებარე მოთხრობები, რომელიც პირველად იბეჭდება ჩვენს ქვეყანაში, ჰინდი ენიდან თარგმნა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული ხელოვნური თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობის მთავარი სარედაქციო კოლეგიის მეცნიერ-რედაქტორმა **ნიკოლოზ კენჭოშვილმა.**

წიგნის რედაქტორია მ. გელაშვილი, მხატვარი ო. მესხი, გამომცემლობა „ნაკადული".

□

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტმა არჩილ გრიგოლის ძე ჯოჯუამ თბილისის კალინინის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარმოადგინა საქართველოს სსრ ფულისა და ნიუთის ლატარიის მეათე გამოშვების ბილეთი (სერია 31742, ნომერი 150), **რომელსაც** მოგებად ხედა **ავტომანქანა „ᲛᲔᲓᲣᲚᲐ — 2101".**

□

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐ

ᲢᲣᲛᲘ ᲓᲐᲬᲕᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲐ

ᲐᲛᲑᲠᲝᲚᲐᲣᲠᲘ. ნოემბრის ცივი და მშრალი ამინდი იდგა. ი-ის იყო ხოტეეის სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესია უნდა დაწყებულიყო, რომ კოლეგიურნე აკაკი კობახიძე მოვაოდა და დეპუტატებს ველელულას ტყეში ხანაოის გაჩენის ეჭიბავი აუწყა. შემთხვევის ადგილს მაშინვე გაეშურნენ ვანო და რევაზ კობახიძეები, ფოიდონ და მიხეილ ტაბატაძეები, დევი და ვაჟა ენუქიძეები. ხმელ ფოთლებს ცეცხლი მოსდებოდა და ტაკაცახით იწვოდა. ბუნების მეგობრებმა ხანძრის კერა შეაკეწეოვეს, თანდათანობით ალყაში მოაქციეს და მალე ჩაქუეს კიდეც. ათობით ჰექტარი მუხნარი გადარჩენას გადაურჩა.

აკ. კერესელიძე.

ᲒᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐ

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ" 22 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებულ კანონში „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1979 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" **ᲮᲝᲑᲐᲢᲐᲣᲠᲘᲡ** რაიონში ხარჯების საერთო ჯამში 4.719,3 ნაცვლად უნდა იკითხებოდეს 4.179,3. **ლაგოდეხის რაიონის** ანრიცხებში სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლებიდან 5.864,9 ნაცვლად უნდა იკითხებოდეს 4.864,9.

ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲕᲘᲖᲘᲢᲝ ᲒᲐᲠᲙᲗᲘ

ᲔᲕᲒᲔᲜᲘ ᲡᲕᲔᲨᲜᲘᲙᲝᲕᲘ

28 ᲬᲚᲘᲡᲐ. ჩილიაბინსკელი მოჭადრაკე პროფესიონალების სპორტული საზოგადოების წარმომადგენელია. 1973 წელს საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ახალგაზრდა ოსტატთა შორის. ეს წარმატება 1976 წელსაც გაიმეორა. 1977 წელს საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიენიჭა.

საკავშირო ჩემპიონატში მეტუოდ მონაწილეობს. შარშან უმაღლესი ლიგის დატოვება მოუხდა, მაგრამ წლეულს აშხაბადში პირველ ლიგაში წარმატებით იასპარეზა და დაკარგული ადგილი დაიბრუნა.

სვეშნიკოვი რამდენიმე საერთაშორისო ტურნირის მონაწილე და პრიზიორია. იგი ცნობილი თეორეტიკოსია, დაამუშავა სიცილიური პარტიის ეგრეთ წოდებული ჩელიაბინსკური ვარიანტი, რომელსაც ახლა თანამედროვეობის მრავალი გამოჩენილი მოჭადრაკე იყენებს.

სამი დახკვნითი ტურის შემდეგ ტალსა და ცეშკოვსკის 7-7 ქულა აქვთ გიორგაძეს, ბელიავსკისა და პოლუგაევსკის — 8-8 ქულა, რომანიშინს, გელერსა და კასპაროვს — 7.5 ქულა თითოეულს, სვეშნიკოვს — 7, მიხალჩიშინს, მაკარიჩევსა და ბაგიროვს — 6,5 ქულა თითოეულს, გულკოს, ტუმაკოვს, რაზუვაევს, დორფმანს, ტიმოშჩენკოს — ექვს-ექვსი, კუზმინს — 5 ქულა.

14 ტურის შემდეგ დაუმარცხებლად იბრძის მხოლოდ სამი მონაწილე: ტალი, ცეშკოვსკი და გიორგაძე. ტუმაკოვი ერთადერთია, რომელსაც არ მოუგია არც ერთი პარტია.

დღეს მორიგი მეთხუთმეტე ტურია. **მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ბელიავსკი-ტალის პარტიას. გიორგაძე თეორებით ეთამაშება ბაგიროვს, ცეშკოვსკი შავებით გულკოს, პოლუგაევსკი ასევე შავებით — კუზმინს.**

შეგახსენებთ შეჯიბრების დიბულებას: პირველ-მეათე ადგილზე გამოსულები გაიყვნენ უმაღლეს ლიგაში რჩებიან, მომდევნო ექვსი ადგილ პირველ ლიგაში, უკანასკნელი ორი კი მასობრივ ტურნირში ითამაშებს.

მაშ ასე, სათამაშო რჩება სამი ტური. წინ კიდევ ბევრი რამ საინტერესო მოგველის.

გ. გამრეკელი.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲓᲘᲓᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲗᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ პოლიტექნიკური ინსტიტუტის „ახალგაზრდულ კლუბში" ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლებმა და სტუდენტებმა შეხვედრა მოუწყვეს ქალაქიში სსრ კავშირის 46-ე ჩემპიონატის მონაწილეებს.

კლუბის სასტუმრო სტუმრები ეუნენ დიდოსტატები ნ. გაფრინდაშვილი, მ. ტალი, ა. ბელიავსკი, ა. დორფმანი, ლ. პოლუგაევსკი, გ. გულკო და სხვ.

გაიმართა სუბბარი თანამედროვე შაქრაკის აქტუალურ პრობლემებზე, მსოფლიო და ოლიმპიურ შეჯიბრებებზე. სტუმრებმა პასუხი გასცეს შაქრაკის მოყვარულთა მრავალ შეკითხვას.

ამავე დროს ნონა გაფრინდაშვილმა ერთდროული თამაშის სეანსი ჩაატარა ინსტიტუტის მოჭადრაკეებთან.

მ. აიდარაშვილი.

□

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲤᲐᲠᲘᲙᲐᲝᲒᲐ. ვილნიუსში მიმდინარე მოფარიკაკეთა საკავშირო თასის გათამაშებაში ჩაებნენ ქალებიც. რაპირისტთა ფინალურ ოთხეულში ორ ადგილზე ბრძოლაში მსოფლიოს ჩემპიონმა ყაზახელმა ნაილი გილიაზოვამ დაამარცხა ახალგაზრდა ოდესელი ირინე ბრიკოცა (5:4), და თასს დაისაკუთრა.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. როგორც ცნობილია, საბჭოთა კავშირის ხალხთა მე-7 ხაზაფხულო სპარტაკიადის პროგრამაში ფეხბურთიც არის შეტანილი. სპარტაკიადის მსაჯთა კოლეგიამ სპორტის მთელ რიგ სახეობებში მოაწყო წილისყრა და გუნდები ქვეჯგუფებად დაჯყო.

საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრები მოხვდა იმ ქვეჯგუფში, სადაც იასპარეზებენ ყირგიზეთის, აზერბაიჯანისა და ლიტვის ნაკრები გუნდები.

რომის ოლიმპიურ სტადიონზე იტალიის ფეხბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა უმასპინძლა ესპანელებს და დაამარცხა ანგარიშით 1:0. ეს ერთადერთი ბერთი შეხვედრის 30-ე წუთზე ვიტანა არგენტინის მსოფლიო ჩემპიონმატის ნომერ მეორე ფეხბურთელმა პაოლო როსიმ. აღსანიშნავია, რომ იტალიის ნაკრებს ესპანელებისათვის 1949 წლის შემდეგ არც ერთი შეხვედრა არ მოუგია.

ᲮᲔᲚᲑᲣᲠᲗᲘ. საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრებმა მორიგი ამხანაგური მატჩი გამართა დასავლეთ გერმანიაში. იგი ფლენსბურგში შეხვდა მასპინძელთა ეროვნულ გუნდს და გაიმარჯვა — 13:11.

Ნ. ᲯᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ძველი ბოლშევიკი — საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, სკკპ წევრი 1917 წლიდან ნიკოლოზ ახლრიას ძე **ჯანიაშვილი.**

ნ. ა. ჯანიაშვილი დაიბადა ქ. თბილისში, მუზის ოჯახში, სწავლობდა თბილისის სამოქალაქო სასწავლებელში. ნ. ა. ჯანიაშვილი 1905-1907 წლების რევოლუციის აქტიური მონაწილეა. იგი თბილისის მე-7 რაიონული ბოლშევიკური ორგანიზაციის დავალებით ბინებით უზრუნველყოფდა ილეგალურ კრებებს, ავრცელებდა პროკლამაციებს, მონაწილეობდა გაფიცვებსა და დემონსტრაციებში. 1906 წლის იანვარში პოლიციამ დააპატიმრა, მაგრამ მამხილებელი საბუთების უქონლობის გამო მალე გაათავისუფლეს. ნ. ჯანიაშვილი 1920 წელს თბილისში მოწყობილი საპოლიციმაისო დემონსტრაციის აქტიური მონაწილე იყო. მას დავალებული ჰქონდა სპეციალური რაზმების დახმარებით ხელში ჩაეგდო ცენტრალური ტელეგრაფი, მაგრამ იმჯერად ეს ღონისძიება ვერ განხორციელდა.

ნ. ჯანიაშვილი პენსიაში გასვლამდე მუშაობდა თბილისის ფოსტამტში პირველი დამზღვევეი განყოფილების უფროსად. დაჯილდოებულია ლენინის ორდენით და 6 მედლით.

სპეტაკი კომუნისტის, ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტის ნ. ა. ჯანიაშვილის ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი ამხანაგებისა და ნაცნობების გულში.

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ.

ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ



ᲮᲛᲔᲚᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚᲘ

ᲜᲐᲒᲝᲠᲣ წალენჯიხის რაიონის სოფელ საჩიხოს ერთი პატარა, მყუდრო დასახლებაა. მას გარს აკრავს ლაკადა, ბასვარას, ყვარას, ჯვრის და სკანეთის მთები. დაბლობს კვეთა ყინულივით ცივი ინწირა და თბილი მდიბარე მოროკა. ინწირა და მოროკას წყალი მდიდარია თევზით ისინი წყლის ზედაპირზეც კი ჩანს.

სამეგრელოს ეს თვალწარმტაცი მხარე ტყეებით არის შემოსილი, სადაც ძალიან ბევრია ნადირი და ფოთანელი.

ნაგურუს ზევით, დაუსახლებელ ფერდობებზე ამაყად ახიდულა ურთხელის ხე. ეს არის ამ ფერდობზე ერთადერთი დარგული ხე. ძველი ხალხი მას „წმინდა ხედ" იხსენებდა. გადმოცემით, თურმე, ამ ხესთან ძველად აღდგომის დღესასწაულზე, დიდი ლხინი და ნადიმი იმართებოდა.

ამ ხის გარშემო ტრიალ, სწორ მინდორზე, რომელიც მხოლოდ ბალახით არის მოხალიჩებული, ძველი, ქვის წვრილი ნამსხვრევებია შემორჩენილი, რაც იმახე მეტყველებს, რომ აქ ოდესაღაც ოდაც შენობა იდგა. ურთხელზე მრავალი ლეგენდა არსებობს. ზოგის გადმოცემათ, თითქოს, ამ ძველად მისაგიმი ხის ქვეშ დამარხოთ თამარ მეფე. ამ ხესთან ახლაც საკლაფეხო ბილიკით თუ მივა კაცი, მისი გამხმარი, ცისკენ ატყორცნილი ტოტები კი მორიდებენე მოჩანს. მაგრამ აკი ვაჟა-შვა�უთქვამს: „განა ყველა, ოაც ხმელია, კაცთაგან საწუნარია"?!

ᲪᲘᲣᲠᲘ ᲒᲕᲘᲚᲐᲕᲐ.

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

□ 25 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — მეოცე პლიკაციური ფილმები, 18.05 — მოსწავლეთათვის — „მობაკავლენ ფიქრით", 18.35 — კინოჟურნალი, 18.45 — „წელი მესამე — წელი დამკვრელური". (მოსკოვიდან), 19.45 — „ვესტნიკი" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.15 — ა. ვივალდი. წელიწადის დრონი" (ფერადი), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ბრმა წვიმა", 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — სატელევიზიო სპექტაკლი „სბა ტბიძის ორშაბათება". პრემიერა საქართველოს ტელევიზიის დადგმა (ფერადი).

□ 26 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ქართული ენა (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — შვეისწავლოთ ინგლისური ენა, 18.05 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „სურვილების ავტომატი", 19.25 — „ჩვენი მხაკოსულტაციო დარბაზი", 19.45 — ი. ბახი. ბალეტი „ჩაკონა" (ფერადი), 20.05 — საბჭოთა არმიის მეომრებისათვის ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის პარტიული კონფერენცია (სპეციალური გამოშვება), 20.20 — ვერნისაჟი", 20.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — სატელევიზიო მუსიკალური ფილმი „მშობლიური ნაპირი" (ფერადი), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „თეატრალური ფოსტა" (ფერადი).

□ 27 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — მათემატიკა (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — შვეისწავლოთ ინგლისური ენა, 18.05 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „იეკესეი" (ფერადი), 18.20 — „მსოფლიოს ქალაქი-მუზეუმები" (ფერადი), 18.50 — „შრომა და დასვენება" — სატელევიზიო პროფკავშირული ჟურნალი, 19.30 — „ოთამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.00 — „ერთიან, ძმურ ოჯახში". ბელორუსიის სსრ და ბელორუსიის კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი პროგრამა. ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ე. პოლიაკოვის გამოსვლა (მოსკოვიდან), 22.00 — „ეროვნია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „სპორტული კალეიდოსკოპი" (ფერადი).

□ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთათვის — ფიზიკა (ფერადი), 17.30 — განცხადებები (ფერადი), 17.35 — უმცროსლაესლთათვის — „ჩვენ ვსწავლობთ რუსულ ენასა", 18.05 — ბავშვებისათის — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სპილო და თოკი", 19.05 — საერთაშორისო მიმოსილვა, 19.20 — „თქვენი თხოვნით" — საესტრადო კონცერტი აფხაზეთის მეცეტრუსეთათვის, 20.00 — „მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი" (მოსკოვიდან), 20.30 — „პოეზია" — ლია სტურუა (ფერადი), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — ქართული მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმები „ქოლგა" და „ეპეელა" 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — „მუსიკა-78" (ფერადი).

□ 29 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 17.00 — უმაღლეს სასწავლებელში [illegible] ქიმია (ფერადი), 17.30 — განცხადებები, [illegible] 17.35 — შვეისწავლოთ [illegible] ენა, 18.05 — [illegible] ტიპლიკაციური ფილმი, 18.25 — მოსწავლეთათვის — „გზა მშვენიერებისაკენ", 19.00 — კინონარკვევი, 19.10 — „ახალგაზრდული შეხვედრები (ფერადი), 19.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 20.00 — „იაგანაი" — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის (ფერადი), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — „საბჭოთა ეროვნული ანსამბლი „ალიკო ხვიხვიანაძის თაგვადასავალი". პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის დადგმა (ფერადი).

□ 30 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — კინონარკვევი, 09.50 — მულტიპლიკაციური ფილმი, 10.00 — „საიდუმლო საუბარი" — საახალწლო წარმოდგენა ბავშვებისათვის. (მოსკოვიდან), 10.35 — „თქვენთვის, მშობლებო!" (მოსკოვიდან), 11.05 — „დილის ფოსტა" — მუსიკალური პროგრამა (მოსკოვიდან), 11.35 — ქართული მხატვრული ფილმი „საბუდარელი ჭაბუკი", 13.05 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (მოსკოვიდან), 13.50 — ბავშვებისათვის — მხატვრული ფილმი „სასწაულის მოლოდინში" (მოსკოვიდან), 15.00 — „სპორტლოტოს ტირაჟი" (მოსკოვიდან), 15.15 — „გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის (ფერადი), 16.20 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა, 17.15 — მოსწავლეთათვის — „მხიარული სასტუმრო" (ფერადი), 18.00 — „საშინაო მიმოხილვა", 19.00 — „კინოპროგრამა, 19.40 — „საესტრადო პანორამა" (ფერადი), 20.20 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 20.50 — „13 სკამი" — მინიატიურების სატელევიზიო თეატრის სპექტაკლი (მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — სატელევიზიო სპექტაკლი „შალიკო ხვიხვიანაძის თაგვადასავალი". პრემიერა (საქართველოს ტელევიზიის დადგმა (ფერადი).

□ 31 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — კინონარკვევი, 10.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ფერრიწინანდი და გრიეული ცხოველები", 10.30 — „მადვიძარა" (მოსკოვიდან), 11.00 — „ცეროლენას ეკრანი". (ფერადი), 11.35 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „ოდა" (ფერადი), 13.00 — „საბჭოთა ეროვნული ანსამბლი „ალიკო ხვიხვიანაძის თაგვადასავალი". (ფერადი), 13.30 — „კინოს მოყვარულთათვის", 14.30 — „მუსიკალური კიბეები" (მოსკოვიდან), 15.05 — „სპორტი — 1978" (მოსკოვიდან), 15.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 16.05 — „თბილისური მელოდიები" (ფერადი), 16.35 — მხატვრული ფილმი „მიმინო" (ფერადი), 18.05 — „კინომოგზაურობის კლუბი". (მოსკოვიდან), 19.05 — „ჩვენი წინსვლის კალენდარი" (ფერადი), 20.00 — „ზამთრის ფანტაზია" (ფერადი), 21.00 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა (ფერადი), 21.30 — ქართული მხატვრული ფილმი „კუჭრი ბედნიერი". პრემიერა (ფერადი), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა. (მოსკოვიდან), 22.35 — „საახალწლო საღამო" (ფერადი), 00.40 — „ჩენი სამშობლო" — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი (მოსკოვიდან), 00.50 — „მოგიღოცავთ ახალ წელს, ამხანაგებო" (მოსკოვიდან), 01.05 — „საახალწლო ცისფერი ეკრანი" (მოსკოვიდან).

ᲛᲔᲠᲘᲜᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲔᲯᲘᲚᲘᲡᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

23 ᲓᲔ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

09.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 09.40 — კინონარკვევი, 09.50 — დოკუმენტური ფილმი „დიალოგი გრძელდება", 10.30 — თქვენთვის, მშობლებო! (მოსკოვიდან), 11.00 — შვეისწავლოთ ქართული ენა, 11.30 — დოკუმენტური ფილმი „პროტოზანოვი", 12.25 — „დილის ფოსტა" — მუსიკალური პროგრამა (მოსკოვიდან), 12.55 — „დრო და პრობლემები" (განმეორებით), 13.35 — მუსიკალური ანტრაქტი, 13.40 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო პოპულარული პროგრამა (მოსკოვიდან), 14.25 — „ბუნების კარი" (ფერადი. განმეორებით), 15.10 — კინოჟურნალი, 15.20 — „კომუნისტები". რეპორტაჟი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, 15.50 — „თბილისი და თბილისელები" — სატელევიზიო ჟურნალი, 16.20 — კინონარკვევი, 16.30 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 17.15 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი (ფერადი), 18.20 — კინოჟურნალი, 18.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 19.00 — „კინომოზაიკა", 19.45 — „მთელი გულით" (მოსკოვიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მოსკოვიდან), 22.35 — ქართული მუსიკის კვირეული მოსკოვში.

მეორე პროგრამით

17.00 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „სამხედრო საიდუმლოება", 18.30 — კონცერტი, 19.10 — დოკუმენტური ფილმი „მოზარდი", 20.10 — მხატვრული ფილმი „დერსუ უზალა" I სერია (ფერადი), 21.15 — დოკუმენტური ფილმი.

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

23 ᲓᲔ ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲔᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲓᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲜᲡᲐᲛᲑᲚᲘᲡ ᲙᲝᲜᲪᲔᲠᲢᲘ;** შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲨᲣᲨᲐᲜᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲠᲢᲕᲘᲚᲝᲑᲐ** (62-ე სკოლის პედაგოგების, მოსწავლეებისა და მშობლებისათვის. დასაწყისი საღამოს 6 ს.); კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ᲘᲝᲗᲘᲛ ᲒᲣᲠᲯᲘ,** ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — **ᲝᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲠᲘᲔᲚᲘ, ᲛᲣᲡᲣᲚᲘ;** მინიატიურების სახელმწიფო — **ᲤᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ.** მეტეხის თეატრი — **ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ, ᲣᲠᲔᲛᲘ;** კინოსტუდია „ქართული ფილმის" თეატრალ